

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 2023 წელს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის

დარგობრივი კომისიის  
შეფასების შედეგები

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი N1, 04 მარტი, 2024 წ.

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები(კომპონენტები)	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები
<p>პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების შედეგები</p>	<p><b>ანალიზი</b></p> <p>პროექტს „წყლის რესურსების უსაფრთხოება და ინტეგრალური მართვა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით“ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და კვლევის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება კვლევითი ინსტიტუტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. მიღებული შედეგები ითვალისწინებს თეორიულ, საველე-ექსპერიმენტალურ და ლაბორატორიულ კვლევებს, წყლის რესურსების მარაგის ინტეგრირებული შეფასებისთვის და მისი მდგომარეობის პროგნოზირებისათვის, წყლის დანაკარგების შემცირების მეთოდების და საინჟინრო ნაგებობების პროექტირება-ექსპლუატაციის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას. შესაბამისად, პროექტი აერთიანებს სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და საპროექტო მეთოდოლოგიის თეორიულ და ტექნიკურ მიღწევებს, მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს, პროექტირების ნორმებს და წესებს, საქართველოს წყლის კანონმდებლობის ორგანიზაციულ და იურიდიულ ასპექტებს, რომელიც ეხმიანება UNESCO - ს საერთაშორისო მე-8 პროგრამის დირექტივებს.</p> <p>პროგრამული თემის (პროგრამის სამეცნიერო ხელმძღვანელი - გივი გავარდაშვილი, აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,) ფარგლებში მომზადდა საგრანტო პროექტი „შავი ზღვის უსაფრთხოებისა და დაბინძურების რისკების კონტროლი რიცხვითი მოდელების გამოყენებით“ (Control of Black Sea Safety and Pollution Risks Using Numerical Models, რომელიც დაფინანსდა ევროატლანტიკური ალიანსის (NATO) მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის პროგრამის ფარგლებში. პროექტი არის მასშტაბური და რაც მთავარია, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი. მისი მიზანია, პირველად</p>

	<p>საქართველოში დააფუძნოს შავი ზღვის ობსერვატორია ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით. ობსერვატორია სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის კოლხეთის საცდელ-ეკოლოგიურ პუნქტში (ქ. ფოთი) განთავსდება. ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით, დიდი ყურადღებას გაამახვილებენ ისეთ რისკებზე, როგორცაა: ნავთობტერმინალების უსაფრთხოება, ტანკების ჩაძირვის შესაძლებლობები, აგრეთვე, სამხედრო და ტერორისტული თავდასხმები შავი ზღვის პორტებში. პროექტში ასევე გათვალისწინებულია შავი ზღვის აკვატორიის მდინარეთა ესტუარებისათვის ციფრული მოდელების დამუშავება, რომლითაც დადგინდება ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული დაბინძურების დონეების რისკები, კერძოდ, წყალდიდობის, წყალმოვარდნების, ეროზიულ-ღვარცოფული პროცესები და ა. შ. პროექტის შედეგების ტესტირება განხორციელდება საქართველოს შავი ზღვის აკვატორიაში, ასევე უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის სანაპირო ზოლში მდებარე დიდ ნავსადგურებსა და ტურისტულ ზონებში ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.</p>				
	<p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. გაფართოვდეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სტუდენტებს შორის სამაგისტრო და სადოქტორო კვლევების წარმოების ეფექტიანობის მიზნით;</li> <li>2. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყვნენ პოსტდოქტორანტები;</li> <li>3. განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამებში ინოვაციური სასწავლო მეთოდების დანერგვა და უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის ინტეგრირება.</li> </ol> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 50%; padding: 5px;">შეფასება</td> <td style="width: 50%; padding: 5px;">დადებითი</td> </tr> <tr> <td style="padding: 5px;"><b>დადებითი</b></td> <td style="padding: 5px;">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	<b>დადებითი</b>	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
<b>დადებითი</b>	უარყოფითი				
<p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გამოყენებითი გრანტით შესრულებული პროექტის „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი“ ფარგლებში მიღებული შედეგები მაღალ დონეზეა წარმოდგენილი. 2023 წელს გაგრძელდა სავლე სამეცნიერო კვლევები მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში 2022 წელს აშენებულ ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟის კონსტრუქციაზე. 2023</p>				

	<p>წლის მაის-ივნისის თვეში ინტენსიური წვიმების შედეგად მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში არსებულ ეროზიულ ღრანტეში წარმოიშვა ტურბულენტური ღვარცოფი, რომელმაც მოძრაობა დაიწყო ნაგებობის მიმართულებით. ღვარცოფმა დინამიკური დარტყმის ძალით იმოქმედა ნაგებობაზე. ნაგებობამ იმუშავა საიმედოდ, არ გამოვიდა მწყობრიდან და ნაგებობის გამჭოლობიდან გამომდინარე წვრილი ფრაქციები წყლის ნაკადთან ერთად გაატარა ქვედა ბიეფში.</p>				
	<p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>ერთობლივი კვლევითი პროექტების მომზადება და განხორციელება უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით;</li> <li>საერთაშორისო საგრანტო ფონდების მიერ გამოცხადებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა.</li> </ol>				
	<table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center;"><b>შეფასება დადებითი</b></td> <td style="width: 50%; text-align: center;"><b>დადებითი</b></td> </tr> <tr> <td></td> <td style="text-align: center;"><b>უარყოფითი</b></td> </tr> </table>	<b>შეფასება დადებითი</b>	<b>დადებითი</b>		<b>უარყოფითი</b>
<b>შეფასება დადებითი</b>	<b>დადებითი</b>				
	<b>უარყოფითი</b>				
<p>პატენტები</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>პროექტის ფარგლებში საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქპატენტის მიერ სასარგებლო მოდელზე „ღვარცოფსაწინააღმდეგო მოწყობილობა“ მიღებულია პატენტი U 2023 2148 Y (2023-04-10). ღვარცოფსაწინააღმდეგო მოწყობილობა, წარმოადგენს მდინარის კალაპოტში ღვარცოფის მოძრაობისკენ წვერით მიმართულ გამჭოლ, ტრამპლინის ტიპის ნაგებობას და შედგება ერთმანეთთან შეერთებული სექციებისაგან, რომლებიც შესრულებულია სწორი სამკუთხა პრიზმების სახით და კალაპოტში ჩამაგრებულია გვერდითი წახნაგებით, ამასთან, ნაგებობის სექციების ზედა ზედაპირზე განთავსებულ წახნაგებზე დამაგრებულია ელასტიკური, ლითონის გვარლებისგან შედგენილი ნატანდამჭერი ბადეები, რომლებიც ქმნის ელასტიკურ ჯიბეებს, <b>გ ა ნ ს ხ ვ ა ვ დ ე ბ ა</b> იმით, რომ სექციების ზომები ნაკადის ფრონტის მხრიდან და ნაკადის მოძრაობის მიმართულებით შესრულებულია საფეხურებრივად კლებადი, ცენტრალური სექციიდან ნაპირებისაკენ.</p> <p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების ანალიზიდან ასევე მეცნიერ-</li> </ol>				

	<p>თანამშრომელთა კვალიფიციური შესაძლებლობებიდან გამომდინარე სასურველი იქნება ინსტიტუტიდან უფრო მეტი პატენტის თუ სასარგებლო მოდელის განაცხადი იქნეს შეტანილი საქპატენტში.</p> <table border="1" data-bbox="855 293 1474 383"> <tr> <td data-bbox="855 293 1114 338">შეფასება</td> <td data-bbox="1114 293 1474 338">დადებითი</td> </tr> <tr> <td data-bbox="855 338 1114 383">დადებითი</td> <td data-bbox="1114 338 1474 383">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	დადებითი	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
დადებითი	უარყოფითი				
<p>ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში(მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები.კრებულები,სამეცნიერო სტატიები)</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>2023 წელს უცხოურ და ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და სტატიების რაოდენობა წარმოდგენილია 49 ნაშრომით, რომელშიც წარმოდგენილი და შემუშავდა ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებების რეკომენდაციები - მოწყვლადი ინფრასტრუქტურის რისკების შეფასებისათვის კრიტიკული მდგომარეობისა და რისკების პორტფოლიოს ანალიზის (CAPRA) მოდელის გამოყენებით (ეკონომიკური გავლენა); სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება, აღრიცხვა და დაზარალებული მოსახლეობის სარეაბილიტაციო გეგმის დამუშავება-ანალიზი და მდგრადობა (ეკონომიკური გავლენა); ქალაქ ყვარლის მოსახლეობის უსაფრთხოება წყალდიდობებისა და ღვარცოფებისაგან (სოციალური, ნაციონალური გავლენა) და სხვ.</p> <p>ინსტიტუტმა გამოსცა ყოველწლიური საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის #76 შრომათა კრებული, რომელიც პროფესორ ვახტანგ თევზაძის დაბადებიდან „90“ წელს მიეძღვნა. კრებული დაყოფილია ძირითად მიმართულებებად, რომლებიც შეესაბამება ინსტიტუტის კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში სტატიის გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე ხორციელდება, განთავსება უფასოა და კვლევითი ნაშრომის პუბლიკაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ფინანსდება ინსტიტუტის მიერ; კრებულს მინიჭებული აქვს DOI. ყველა ნომერი განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში "ივერიელში" <a href="https://doi.org/10.36073/1512-2344">https://doi.org/10.36073/1512-2344</a></p>				

	<p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <p>სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება - მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობას წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში</p> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center;">შეფასება</td> <td style="width: 50%; text-align: center;">დადებითი</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;"><b>დადებითი</b></td> <td style="text-align: center;">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	<b>დადებითი</b>	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
<b>დადებითი</b>	უარყოფითი				
<p>სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიკოს გივი გავარდაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა 8 საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერ-სპეციალისტები-საქართველოდან, იტალიიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბელორუსიდან და სხვ.</p> <p>მისი უშუალო ორგანიზებით განხორციელდა პროფესიული ექსპურსიები ჟინვალის წყალსაცავზე, ყვარელში, დუშეთში, ყაზბეგში, თელავში და სხვ.</p> <p>22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საფუძველი ჩაეყარა სკოლოს მოსწავლეებთან შეხვედრებს.</p> <p>ინსტიტუტის თანამშრომლებს მიღებული აქვთ არაერთ საერთაშორისო კონფერენციასა თუ სიმპოზიუმში მონაწილეობა.</p> <p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <p>1. ინსტიტუტის სტრატეგიის განხორციელება საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას და შესაბამისი მასალების გამოცემას;</p> <p>2. მეცნიერ-თანამშრომელთა პროფესიული და პიროვნული განვითარების მიზნით როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში სამეცნიერო სემინარებში, კონფერენციებსა და ვორქშოფებში ჩართულობის ორგანიზება.</p> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 50%; text-align: center;">შეფასება</td> <td style="width: 50%; text-align: center;">დადებითი</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;"><b>დადებითი</b></td> <td style="text-align: center;">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	<b>დადებითი</b>	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
<b>დადებითი</b>	უარყოფითი				
<p>კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ „სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის</p>				

	<p>განახლების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებით განხორციელდა სამეცნიერო დანადგარების და აღჭურვილობის (მინიტ-რაქტორი, გუთანნი, ფრეზი) შეძენა, რომელსაც პრაქტიკულად გავყავართ სამეცნიერო-კვლევითი თემატიკით დასმული ამოცანების შესაბამისი აქტივობების ინდიკატორების შესრულებაზე და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების თანამედროვე დონეზე განსახორციელებელი პროექტის მიზნამდე, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი და გარანტირებული მოსავლის მიღებისათვის სამელიორაციო სისტემებზე სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესების, სამელიორაციო მომსახურების არეალის გაზრდის და ნიადაგში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა, შესაბამისი მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება; შემოთავაზებული თემის შესაბამისი მაღალხარისხიანი და დროული უნიკალური კვლევების განხორციელება და მიღებული პრაქტიკული შედეგები პირდაპირ პასუხობს ქვეყნის ხელისუფლების მიერ პრიორიტეტულად აღიარებულ პროგრამას, რაც უპირობოდ შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მთლიანი შიდა პროდუქტის წილის გაზრდას ქვეყნის მთლიან ბიუჯეტში, ეს კი პირდაპირპროპორციულად აისახება აგრარულ სექტორში დასაქმებული მოსახლეობის ეკონომიკურ სიძლიერეზე; გამოყენებული იქნა კვლევისთვის ციფრული ტექნოლოგიები.</p> <p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <p>1. სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციის მიზნით სამეცნიერო ცოდნის დონის ხელშეწყობა.</p> <table border="1" data-bbox="853 1641 1473 1731"> <tr> <td data-bbox="853 1641 1117 1686">შეფასება</td> <td data-bbox="1117 1641 1473 1686">დადებითი</td> </tr> <tr> <td data-bbox="853 1686 1117 1731"><b>დადებითი</b></td> <td data-bbox="1117 1686 1473 1731">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	<b>დადებითი</b>	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
<b>დადებითი</b>	უარყოფითი				
საექსპერტო მოღვაწეობა	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>ინსტიტუტის თანამშრომელების მიერ წლის განმავლობაში 15–ზე მეტი საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა აქვთ გაწეული სახელმწიფო თუ კერძო სექტორის დაკვეთით. მაგალითად როგორც იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ინოვაციებისა და</p>				

	<p>მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სხდომებში აკადემიკოს გივი გავარდაშვილის, როგორც ექსპერტის მიწვევა და სხვ.</p> <p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <p>1. საექსპერტო მოღვაწეობის განხორციელებისათვის დარგის სხვადასხვა სტრუქტურებთან კომუნიკაციით მეცნიერ-თანამშრომელთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაცნობა;</p> <table border="1" data-bbox="858 454 1466 544"> <tr> <td data-bbox="858 454 1115 499">შეფასება</td> <td data-bbox="1120 454 1466 499">დადებითი</td> </tr> <tr> <td data-bbox="858 499 1115 544"><b>დადებითი</b></td> <td data-bbox="1120 499 1466 544">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	<b>დადებითი</b>	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
<b>დადებითი</b>	უარყოფითი				
<p>ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდა მეცნიერთათვის კვლევების ხელშეწყობა, წახალისება, წარმოჩენა და პოპულარიზაცია; სხვადასხვა თაობის მეცნიერთა შორის კომუნიკაციის გაღრმავება და მხარდაჭერა; ახალგაზრდა მეცნიერთა როლის გამოკვეთა; ახალგაზრდა მკვლევართა ხელშეწყობა ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან კავშირების დამყარება და სამეცნიერო მიღწევების გაზიარება; დარგის მიმართულებით ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო საბჭოებსა თუ კომისიებში, აა(ი)პ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხელშეწყობა; ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, დაწინაურება; საგრანტო განაცხადების მოძიების, მომზადებისა და წარდგენის პროცესში მხარდაჭერა.</p> <p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <p>1. გაგრძელდეს იმ მიამართულებით საქმიანობა, რა კურსიც აქვს ინსტიტუტს აღებული ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობის მიზნით მაგ. საგრანტო განაცხადების მოძიების, მომზადებისა და წარდგენის პროცესში მხარდაჭერა და სხვ.</p> <p>2. განახორციელოს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციის მიზნით ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა.</p> <table border="1" data-bbox="858 1715 1466 1805"> <tr> <td data-bbox="858 1715 1115 1760">შეფასება</td> <td data-bbox="1120 1715 1466 1760">დადებითი</td> </tr> <tr> <td data-bbox="858 1760 1115 1805"><b>დადებითი</b></td> <td data-bbox="1120 1760 1466 1805">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	<b>დადებითი</b>	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
<b>დადებითი</b>	უარყოფითი				
<p>სამეცნიერო ნაშრომების მეცნიერობითი მონაცემები და მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი</p>	<p style="text-align: center;"><b>ანალიზი</b></p> <p>პროგრამული თემის ფარგლებში დაბალია მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია იმით, რომ მაღალრეიტინგულ რეფერირებად გამოცემაში სტატიის განთავსება გარკვეულ ფინანსებთანაა დაკავშირებული.</p>				

	<p>ლი, რაც მეცნიერ-თანამშრომელთა ფინანსური შესაძლებლობებით შეუძლებელია. თუმცა მისასაღებელია ის მიდგომა, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით აკადემიურმა საბჭომ მიიღო, რომ ნებისმიერ მეცნიერ-თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა დაფინანსების თხოვნით მიმართოს ინსტიტუტის ადმინისტრაციას და სამეცნიერო საბჭოს, რომელიც განიხილავს ნაშრომის ღირებულებას და აქტუალობას და უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად აღმოუჩენს სრულ ან ნაწილობრივ ფინანსურ მხარდაჭერას მაღალრეიტინგულ რეფერირებად გამოცემაში დასაბუქდად. ეს შესაძლებლობა სრულიად შეცვლის იმ მონაცემებს, რომელიც 2023 წლის შედეგებითაა წარმოდგენილი. დადებითი შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს ის მიღწევები, რაც ცალკეულ მკვლევარს აქვს რეიტინგული მიმართულებით აკადემიკოს გივი გავარდაშვილის, პროფესორების დავით კერესელიძის, ედუარდ კუხალაშვილის, ასოცირებული პროფესორების ინგა ირემაშვილის, კონსტანტინე ბზიავას, ლევან წულუკიძის, თამრიკო სუპატაშვილის და სხვ. შედეგები.</p> <p style="text-align: center;"><b>რეკომენდაციები</b></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მაღალრეიტინგულ გამოცემებში ნაშრომების გამოქვეყნებისათვის მეცნიერ-თანამშრომელთა ხელშეწყობა;</li> <li>2. მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად მეცნიერ-თანამშრომელმა დაფინანსების თხოვნით მიმართონ ინსტიტუტის ადმინისტრაციას და სამეცნიერო საბჭოს.</li> </ol> <table border="1" data-bbox="853 1489 1469 1581"> <tr> <td data-bbox="853 1489 1114 1541">შეფასება</td> <td data-bbox="1114 1489 1469 1541">დადებითი</td> </tr> <tr> <td data-bbox="853 1541 1114 1581">დადებითი</td> <td data-bbox="1114 1541 1469 1581">უარყოფითი</td> </tr> </table>	შეფასება	დადებითი	დადებითი	უარყოფითი
შეფასება	დადებითი				
დადებითი	უარყოფითი				

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე



ინგა ირემაშვილი

დარგობრივი კომისიის მდივანი



მარინე მღებრიშვილი